ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა


თელავის ქ. №46, №48



თბილისი

2019, ოქტომბერი

საპროექტო ტერიტორია თელავის ქ. №46-ში და №48-ში მდებარეობს. დღეს ეს ტერიტორია თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვითი ზონის კიდეში, ისან-ავლაბრის გამგეობის შემადგენლობაშია, ხოლო ისტორიულად ავლაბარს ეკუთვნის.



დღევანდელი ავლაბარი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე განლაგებული ვრცელი რაიონია. თავდაპირველად იგი ისნის (მეტეხის) ციხე-სიმაგრეს მიკედლებულ უგალავნო ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც XVIII საუკუნის II ნახევარში, ერეკლე II-ის მეფობის ხანაში შემოიზღუდა გალავნით. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „ავლაბარი" XIV საუკუნიდან გავრცელდა (პირველი წერილობითი საბუთი სადაც მას მოიხსენიებენ 1392 წლით თარიღდება). სიტყვა „ჰავალი" არაბულად მიდამოა, ხოლო „ბარე" ზღუდეს, გალავანს ნიშნავს. მაშასადამე „ავლაბარი" გალავნის იქითა მიდამოს, გარეუბანს გულისხმობდა.


პლატონ იოსელიანის ცნობით, ავლაბარში XV ს-ში სასახლეები ჰქონიათ სამეგრელოსა და გურიის მთავრებს. ასევე, თბილისის 1785 წლის გეგმაზე აქ გიორგი ბატონიშვილის სახლია აღნიშნული. 1784 წელს ისნის ძველი ციხის გალავანზე აღიმართა დარეჯან დედოფლის სასახლე – „საჩინო".

ავლაბარში სახლობდნენ მეფის, თავადაზნაურთა და საეკლესიო ყმა-გლეხები. განვითარებული იყო ხელოსნობა. აქ ქართველებთან ერთად სომხები, სპარსელები, ბერძნები ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნეში ლეკთა თარეშის გამო ავლაბარი თითქმის დაცარიელდა, რადგან ლეკები თბილისს უმეტესად ამ მხრიდან ესხმოდნენ, ხოლო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს (1795 წ.) ავლაბარი თითქმის მთლიანად განადგურდა.

1800 წელს პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილი თბილისის გეგმა გვიანფეოდალური პერიოდის დაგეგმარების დადგენის საშუალებას იძლევა, რადგან მასზე განსხვავებული ფერითაა გამოყოფილი ის უბნები და ნაგებობები, რომლებიც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს განადგურდა. შიდაავლაბრის დაგეგმარება მკვეთრად განსხვავდებოდა თბილისის სხვა ნაწილების ქუჩათა ქსელისგან. იგი ერთგვარად რეგულარულ ხასიათს ატარებდა.

ძირითადი ქუჩები მეტეხის კლდის სწვრივის პარალელურად გადიოდა, ხოლო მთავარი ქუჩა (დღევანდელი მეტეხის) მათ ოდნავ ირიბად ჰკვეთდა. ეს ქუჩა იწყებოდა კარიბჭესთან, (ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან გზების შესაყარზე) და განივად ჰკვეთდა უბანს. გარეთავლაბარი კი ქუჩების ქაოტურ ხლართს წარმოადგენდა.



1913 წ. თბილისის გეგმა

მიუხედავად იმისა, რომ ამ უბანმა ბევრი ცვლილება განიცადა, დღემდეა შემორჩენილი გვიანფეოდალური ქალაქის ქუჩათა ქსელი და ძველი განაშენიანების კვალი – ისტორიული ციხესიმაგრის ნაშთები, გვიანფეოდალური პერიოდის დამცავი კედლები, დარეჯანისეული სასახლე, XIX-XX სს-ის

საცხოვრებელი სახლები, ძველი სარდაფები და სხვა. მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია განაშენიანების მასშტაბი და თავისებურებები. ქალაქის ამ ნაწილის ძირითად მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს მეტეხის აღმართის, მეტეხის კლდის, მეტეხის ქუჩისა და ჯორბენაძის ქუჩათა განაშენიანება განსაზღვრავს.

ავლაბარზე იშლება ვრცელი პანორამა თბილისის სხვადასხვა კუთხიდან. მის ურბანულ სახეს დღეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამების კათედრალური ტაძრის დომინანტი, რომელიც მთელი გარემოს განაშენიანების წამყვან ორიენტირად იქცა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია უბნისა და მისი განაშენიანების პრინციპების შენარჩუნება და დაცვა.



მიმდებარე ტერიტორია განაშენიანების მხრივ არაერთგვაროვანია. მის ძირითად ნაწილს გასულ საუკუნეში და ბოლო დროს აშენებული 1-2 სართულიანი "რულარული" ტიპის სახლები წარმოადგენს.

ახლომდებარე ნაგებობებიდან გამორჩეული სახე ჰქონდა ყოფილი – სურსათის სანახების – შემდგომ საპყრობილის აგურის მსხვილ ნაგებობებს, რომელთაგან მხოლოდ ერთი შენობაა შემორჩენილი. ფუნქციადაკარგულობის მიუხედავად ამ სამეურნეო ნაგებობებს ჰქონდათ გარკვეული მხატვრული სახე, რომლის ელემენტების გადმოტანა თანამედროვე არქიტექტურის ენაზე საინტერესო შედეგს მოგვცემდა (ორმაგ საპირეში ჩასმული სარკმლები, ძველი აგურის მონოტონური ფასადი მასზე რიტმულად განლაგებული ღიობებით).



უბნის მდარე განაშენიანებაში გამორჩეული იყო საპროექტო ტერიტორიის ახლოს მდებარე შენობა წურწუმიას ქ. №14 (ყოფილი საბავშვო ბაღი), რომელსაც მინიჭებული აქვს ძეგლის სტატუსი და რომლის რეკონსტრუქცია-კვლავაგება მიმდინარეობს დამტკიცებული პროექტის ფარგლებში.





შენობა სავარაუდოდ XX საუკუნის დასაწყისის ნიმუშია. ეს ეკლექტური სტილის ნაგებობაა, რომელიც ნაკლებად განეკუთვნება ქალაქის რეგულარულ განაშენიანებას და მეტად სააგარაკო – „უსადბის" მაგვარ არქიტექტურულ ტიპს წარმოადგენს. ხუროთმოძღვრული სტილით ეს ნაგებობა იმ დროს გავრცელებული „ისტორიზმისა" და „ნეორომანტიზმის" ელემენტებს შეიცავს.

თელავის ქ. №46, №48 ნაგებობები ტიპიური ერთსართულიან “რულარული” სახლებს წარმოადგენდა, რომლებიც XIX ს-ის II ნახევარში ქალაქის გარეუბნისთვის იყო დამახასიათებელი და ე.წ. ავლაბრის აგარაკების ტერიტორიაზე შენდებოდა.



თელავის ქუჩის მხრიდან შენობებს გალავანი და მის შიგნით განთავსებული ნახევრად ღია ტიპის ეზო აკრავს, რომელთა მახარეს სახლები ხის შუშაბანდებით იხსნებოდა ისე, როგორც მათ მეზობლად ჯერ კიდევ არსებული თელავის ქუჩის სხვა ერთსართულიანი ნაგებობები.





ამ განაშენიანების გარკვეული მყუდროებისა და ინტიმურობის მიუხედავად, საცხოვრებელი სახლების კომფორტის მდგომარეობა მძიმეა, ისევე, როგორც მათი ტექნიკური მდგომარეობა. შესაბამისად, ამ ტიპის სახლების ჩანაცვლება უკვე

ქალაქის ცენტრალური უბნისათვის შესაფერისი არქიტექტურით გარდაუვალი აუცილებლობაა.





არსებული მიწის ნაკვეთის მოპირდაპირე მხარეს, ადრეული საბჭოთა პერიოდის ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი დგას, ე.წ. "სტალინური" არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ელემენტებით გაფორმებული. ამ მასშტაბის ნაგებობები კიდევ რამდენიმეა მიკროუბანში და ისინი ძირითადად კახეთის გზატკეცილისკენ აღმავალ ქუჩებს ახასიათებთ.





თელავის ქუჩის მიმდებარე განაშენიანებაც უკანასკნელ პერიოდში 5-6 სართულიანი შენობებით შეივსო, რაც ლოგიკურია ისტორიული უბნის რეგულირების ზონაში, არაღირებული და დეგრადირებული ურბანული ქსოვილის გაჯანსაღების კუთხით.

დასკვნა-რეკომენდაცია

თელავის ქუჩის ქ. №46, №48 ცარიელი მიწის ნაკვეთების განაშენიანება ავლაბრის ისტორიული უბნისთვის შესაფერისი არქიტექტურით, სავსებით შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მდგომარეობით ორი მიწის ნაკვეთი გაერთიანებულია ერთიან საკადასტრო კოდში, სასურველია განაშენიანება შედგებოდეს ორი განსხვავებული მოცულობისაგან იმისათვის, რომ არ დაირღვეს უბნის ჩამოყალიბებული ურბანული პარამეტრები;
- მოცულობების საფასადე გადაწყვეტა და გადახურვის ფორმა, სასურველია იყოს განსხვავებული;
- ნაგებობების მასშტაბი შესაბამისი უნდა იყოს თელავის ქუჩის მიმდებარე განაშენიანების მასშტაბის, რომელიც ოთხი და მეტ სართულიანია;
- საფასადე გადაწყვეტაში სასურველია უბნისთვის ტრადიციული საშენი მასალების – აგურის, ნალესი კედლის ან მათთან მისადაგებული თანამედროვე შემცვლელების გამოყენება;
- ზედა სართული სასურველია შეიწიოს პარაპეტის ხაზიდან შიგნით;
- მნიშვნელოვანია გადახურვის ნაწილში დაფერდებული სახურავის თემის გამოყენება.
- შენობების გვერდითი ე.წ. "ტორცოს" ყრუ კედლები სასურველია გაფორმდეს მხატვრულ-არქიტექტურული ელემენტებით ან ფაქტურებით.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი